საქართველოს ძლიერება გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№42 (6418) 4 აპრილი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

შეხვედრა სოფლის მეურნეობის მუშაკებთან

დღეს მთელს კავშირში და ჩვენს რესპუბლიკაში სერიოზული მდგომარეობაა სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში. ამას ზედ დაერთო სასურსათო პროდუქტებზე ფასების კოლოსალური ზრდა. ამიტომ როგორც არასდროს, დღის წესრიგში დგას საკითხი — რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ვაწარმოოთ, რასაც აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

სწორედ ამ მეტად სასიცოცხლო საკითხს მიეძღვნა რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელების და სხვა აქტივის შეხვედრა რაიონის პრეფექტთან ტარიელ ალავიძესთან.

ტ. ალავიძემ შეხვედრაზე ანალიზი გაუკეთა რესპუბლიკასა და რაიონში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, წარსულიდან მიღებულ მძიმე მემკვიდრეობას. აღნიშნა, რომ შარშან მეურნეობებში შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, სოფლის მშრომელებმა იჯარით აღებული ნაკვეთებიდან მოსავალი მთლიანად წაიღეს, რამაც დიდად დააზარალა მეურნეობები. ამჟამად ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს იმისათვის, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს. როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში მთავრობის გადაწყვეტილებით გარდამავალ პერიოდში ჯერჯერობით შენარჩუნებულია კოლმეურნეობები, რადგან არ გვაქვს მოქალაქეობის სტატუსი. ზემდგომი ორგანოების მიერ შემუშავებულია იჯარული შრომის დებულება და ხელშეკრულება. ამჟამად მიმდინარეობს მისი დამუშავება ჩვენი რაიონის პირობების შესაბამისად და მალე მიეწოდება კოლმეურნეობებს.

ტ. ალავიძემ თავის გამოსვლაში სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ძირითად ამოცანად დააყენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად დამთავრება, რომ არ დარჩეს მიწის არც ერთი მტკაველი დაუმუშავებელი და მივიდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნასა და დამზადებაში რეალობამდე. ინფორმაციებით გამოვიდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები შ. გოდოლაძე, ო. კვენეტაძე, კ. ბურჯალიანი, ო. ლაკვეხელიანი, გ. მეშველიანი, თ. ქარსელაძე, ზ. ჩიქოვანი, ტ. კოპალიანი და სხვები.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ო. ნემსწვერიძე.

ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ კოლმეურნეობათა მეტი წილი ცდილობს შეამციროს სახნავ-სათესი ფართობი, რაც არასწორია, რადგან არის შესაძლებლობა მეტი თუ არა, იგივე რაოდენობის ფართობები დახნან, რაც გასულ წელს იყო. ბალვენაკების ერთი ნაწილი უყურადღებობის შედეგად გადაქმულ-გადახრულია. მეურნეობებიდან არ ბარდება მეცხოველეობის პროდუქცია სახელმწიფოს. პირველ კვარტალში უნდა მიეყიდულიყო 70 ტონა ხორცი, ჩაბარდა მხოლოდ 18 ტონა. მეურნეობებს კი ამ პერიოდში წაღებული აქვთ 300 ტონა კომბინირებული საკვები.

შეხვედრის მონაწილეებმა დააყენეს რიგი პრობლემური საკითხები.

ხვნა დაიწყო, მაგრამ...

დღევანდელმა პირობებმა, ისედაც გაძვირებული ცხოვრების 2 აპრილიდან კიდევ უფრო გაძვირებამ ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ მიწას უნდა მივხედოთ, ჩვენს მარჩენალს, ვაზს, ჩვენს სალოცავს.

წლეულს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული 1050 ჰექტარზე უნდა დაითესოს, მართალია, ეს ციფრი შარშანდელზე გაცილებით მეტია (შარშან 850 ჰექტარი იყო), მაგრამ გვაქვს თუ არა საშუალება, რომ ამ მეტისმეტად დაძაბულ დროსა და ეკონომიკური სიაწროვის პირობებში გავზარდოთ სამარცვლე მიწის ფართობები, დავხნათ და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში აქამდე მიტოვებული, ეკალ-ბარდგადავლილი მიწები მოვაქციოთ. გვაქვს, როგორ არა გვაქვს, ახალი მიწის ფართობები შევიძლია დამატებით დავხნათ და დავამუშაოთ, ჩვენთვის ასე საჭირო კულტურები — სიმინდი და ლობიო მოვიწიოთ.

ამისათვის ტექნიკამ რაც შეიძლება შეუფერხებლად უნდა იმუშაოს, ხვნა-თესვის კამპანია არ უნდა გაჭიანურდეს. გაზაფხულის პირველი თვე, მარტი კარგი ამინდებით განვვლეთ. ხვნა კი აპრილისათვის გადაიდო. თუმცა, რაიონის სამ საზოგადოებრივ მეურნეობაში: ტვიშში, ალპანასა და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში პირველი ხნული გაავლეს, ჯერჯერობით სულ 35 ჰექტარია დახნული, აპრილია და გაკეთებული ზღვაში წვეთია.

ხვნა დაიწყო, მაგრამ ტრაქტორები ისევ შესაკეთებელია ალპანის, ორბელის, ლვირიშის კოლმეურნეობებში, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

მანქანა-ტრაქტორთა რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს სახელოსნოში რემონტი ჩაუტარდა ლაჯანის, ლასურიაშის და ჩხუტელის კოლმეურნეობების ტექნიკას, მაგრამ ძრავების რემონტი აღნიშნულ სახელოსნოში არ ხერხდება. იმ კოლმეურნეობებში, სადაც ტრაქტორებს ძრავა სარემონტო აქვთ, უმჯობესი იყო დროულად დაექირათ თადარიგი და ახლა, ხვნის ამ ხელსაყრელ დღეებში ტექნიკა მომზადებული ჰქონოდათ.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოში შექმნილია ხელოსანთა გამსვლელი ბრიგადები, (სათადარიგო ნაწილების ფასებთან ერთად მომსახურების ფასებიც გაზრდილია), სადაც თავიანთი ძალებით არ ხერხდება ტექნიკის რემონტი, ხელოსანთა გამსვლელი ბრიგადა გაუწევს მომსახურებას.

ქვეყანა გასაჭირშია, თუ ხელს არ გამოვიღებთ, მიწას გონივრულად არ გამოვიყენებთ, კიდევ მეტად გაგვიჭირდება. ჩვენი მიწისა და რესურსების შემყურეს, არავის სამათხოვრო არაფერი გვჭირს. ვიჩქაროთ, ხვნა-თესვა არ გავაჭიანუროთ, რაც შეიძლება საიმედო საფუძველი მოვუმზადოთ წლევანდელ მოსავალს.

არის კვარტალის გეგმა

დღეს, როცა პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბულობა სუფევს ქვეყანაში, თითოეულ შრომით კოლექტივში, თითოეულ უბანზე მხოლოდ საქმე, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება დგება წინა პლანზე.

კარგად იშრომეს და წლის პირველი კვარტალი წარმატებით დაასრულეს საგზაო-სამმართველოს მშრომელებმა (უფროსი ო. გიორგობიანი), რომლებმაც განვლილ სამ თვეში რესპუბლიკური და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და საშუალო შეკეთებას, მოვლა-შენახვას 128 ათასი მანეთი მოახმარეს, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

შრომაში თავი გამოიჩინეს სამუშაოთა მწარმოებელმა მურმან სილაგაძემ, გზის ოსტატმა ვახტანგ ბენიძემ, მექანიზატორებმა შალვა მამარდაშვილმა, ავთანდილ გვიშიანმა, თენგიზ ხაბულიანმა, მძღოლებმა ... სალინაძემ, ოთარ ...ლაძემ და სხვებმა.

* * *

საგეგმო დავალებებს წარმატებით ასრულებენ რაიონის საავთიაქო ქსელის მუშაკები, რომლებმაც სავალო საქონელბრუნვის პირველი კვარტალის გეგმა 103, 4 პროცენტით გაანაღდეს. ნაცვლად 36 ათასი მანეთისა გაწეულია 37.400 მანეთის მომსახურება.

* * *

ნაყოფიერი გამოდგა წლის განვლილი სამი თვე რაიონის კინოფიკატორებისათვის. მათ მიცემული გეგმა 155 პროცენტით გაანაღდეს. კინოს სანახაობიდან შემოსავალმა 5900 მანეთი შეადგინა, როცა დავალება 3800 მანეთს ითვალისწინებდა.

გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება განაპირობა ქართული და საზღვარგარეთული კომერციული ფილმების შემოტანა-ჩვენებამ.

მევენახეები ზვარში გავიდნენ

ტვიში

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილმა ძნელბედობის ჟამმა, სამაჩაბლოში დატრიალებულმა შემზარავმა ამბებმა გული გაუფუჭა მშრომელ კაცს, მაგრამ ქართველი რის ქართველია, ჭირს თუ არ გაუძლო და როგორც მამა-პაპათგან მოგვდგამს, ცალ ხელში ხმალი და მეორეში კი გუთანი არ დაიჭირა.

აღვადგინოთ „ტვიშის" მარკის ცოლიკაურის ჯიშის ვაზი, მეტი მზრუნველობა, მეტი პატრონობა გავუწიოთ მიწას, დღევანდელ ეკონომიკურ სივიწროვეს თავი დავაღწიოთ. სულ ზვარის ფართობი აქ 19 ჰექტარია. დღეისათვის სულ გასხლულია 17 ჰექტარი. ზვრებს კარგად უვლიან ორხვის უბნის მევენახეები — ზურაბ ახვლედიანი, გრიშა გაბიძაშვილი, მექი ქვარიანი, არდევან გაბიანი, გურამ კენჭაძე, რეზო გაბიძაშვილი, ვალოდია ახვლედიანი, რომლებმაც დროულად შემოაკავეს ზვრები, უკვე დაამთავრეს ვაზის სხვლა, მიწა ორგანული სასუქით გაანოყიერეს და ახლა ვაზის აშენება-აკვრაზე მუშაობენ.

ზვრები საუკეთესო მოვლილი აქვთ ტვიშელ მევენახეებს — გრიშა, ინდიკო, ნოდარ ბანძელაძეებს, გურამ ლომთაძეს, თენგიზ ასათიანს, ლეო, იორამ ჩაკვეტაძეებს, გურამ ლაკვეხელიანს და სხვებს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ამ გარდამავალ ეტაპზე ტვიშელი მევენახეები საიმედო საფუძველს მოუმზადებენ წლის მოსავალს.

ალპანა

მიწისადმი ზურგის შექცევამ, წარსულის შეცდომებმა და მუშაკების შრომის დაუფასებლობამ კატასტროფამდე მიგვიყვანა, მინიმუმამდე შემცირდა სახნავ-სათესი, ვაზის ფართობმაც თანდათან იკლო, ახლის გაშენებაზე კი ჯერჯერობით არავინ ფიქრობს.

ასეა ყველგან და ალპანის კოლმეურნეობაშიც. სადაც ზვარის ფართობი 18 ჰექტარამდეა შემცირებული.

ვაზის ისედაც შემცირებული ფართობი რომ კიდევ უფრო არ შემცირდეს, ყველაფერს აკეთებენ ... მევენახეები, დროულად გაისხლა და გაიწმინდა ზვრები. ვაზისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ალპანის უბნის მევენახეები (უბნის ხელმძღვანელი რეზო ჯანაძე).

იჯარით აღებული ზვრები უკვე დამუშავებული, ვაზის ძირები გაწმენდილ-გამობარული აქვთ ალპანელ მევენახეებს — შუშანა ხეცურიანს, მარგალიტა, დადაში, ტარიელ ჯანაძეებს და სხვებს.

გაზაფხულია, თბილა, ვაზი განსაკუთრებით ამ რეგიონში ჩქარობს გამოსვლას. ჩვენს მევენახეებს არ ესწავლებათ ვაზის მოვლა, თუ გულს გავუკეთებთ, ანაზღაურებას არ დავაკლებთ და წახალისების ფორმებთან ერთად ჩვენს ყველა შესაძლებლობებს გამოვიყენებთ, მომავალს იმედიანი თვალით უნდა შევხედოთ.

მ. ნემსწვერიძე.

ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი რაიონის პრეფექტს ბატონ ტარიელ ალავიძეს

უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა 1991 წლის 31 მარტი. სახეზეა შედეგები რეფერენდუმისა... ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებისაც. კითხვაზე—გვიხდა თუ არა ეროვნული დამოუკიდებლობა, პასუხი კიდევ ერთხელ გასცა ქართველმა კაცმა...

ალბათ, დამერწმუნებით, ბატონო პრეფექტო, რომ ბედნიერები არიან ესეთი ერები, რომელთაც ეს „უცნაური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ... ქართველმა ხალხმა კი მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გაატარა.

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, ბერმისს? გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?!“—აი, მარადიულ შეურყეველი საფიქრალი და საკითხავი მცირერიცხოვანი ერებისა და უპირველესად ჩვენი, ქართველებისა.

მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისაგან ქართველ ერს მაინც დასდევდა ეს „ღობალი“, ყოველ უბძიმეს, ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული წინამძღოლი“, „მოძღვარი“, „ერისმთავარი“, „ბელადი“, „გვირგვინოსანი“ თუ „უგვირგვინო მეფე“, რომელიც ზეგარდმო ნიჭით, უტყუარი ალღოთი და გეშით, ვითარცა მოსე უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა ნშობელ ხალხს უეჭველი დაღუპვის მარგუნებელი სამყაროდან.

ძნელი იყო, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში „ერის მწყემსობა“—ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით ატანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, სოციალიზმი, კოლონიალიზმი, ანარქიზმი, ნაციონალიზმი...

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი „იზმი?!“.

ყოველი „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს მოითხოვდა! დავზარალდით უზღვავი და უზღვავი სისხლის გაღებით...

ყოველ დროში ძნელი იყო საქართველოში ერისმთავრობა, რადგან ბევრი იჩემებდა „ლიდერობას“, „ბელადობას“, „მესაჭობას“, ყოველ მათგანს ცალკეულად აეჩვენებინა, რომ მას ერთადერთს ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც, დავითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც. ასეა დღესაც...

სამწუხაროდ, იბრძვიან თანამდებობისათვის, სკამებისათვის... ჯერ კიდევ არჩევნების წინ ჩემი სტატიით—„ფრთხილად, წინ ბეწვის ხიდია“ ვთხოვე ლეჩხუმელ ამომრჩევლებს, ხვასნუ მისცემდნენ მაფიოზებს, მომხვეჭელებს... უფრო მეტიც, „ნრგვალმა მაგიდამ“ მიიღო სპეციალური მიმართვა ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი, რომ დაერთო ნება აცილებაც მიგვეცა ზოგიერთი დეპუტატობის კანდიდატისათვის. მაგრამ ბევრმა მათგანმა „კარგად იმუშავა“, უბირი ხალხისაგან თუ ახლობლისაგან შეაგროვა საჭირო ხნების რაოდენობა და დღეს რაიონის საკრებულოსაც შეეპოტინებიან. სამწუხაროა, მაგრამ ეს ასეა! თითქოს დაგვცინის და ხითხითებს სატანა: „ვაი, თქვენ, უგნურნო და უბადრუკნო, რამეთუ თქვენ თვითონ ნოჰკალით შემოქმედი ღმერთი თქვენი!“ ნწარე სიმართლეა, მაგრამ თქვენც იცით, ყველას არ სურს „უკეთესი ხვალე“, მერე როგორღა იბოგინონ?

რატომღაც ზოგიერთებმა მაინც და მაინც აქილევსობა ინდომეს, კვლავ მაღალ სკამებზე დასხდნენ... მინდა მათ გასაგონად ვთქვა: კი, მაგრამ ადამიანებო, რატომ არ გსურთ ჰომეროსობა, რომელიც სხვათა ქებათა გამო პირველობს აგერ უკვე 24 საუკუნეა?..

ძალიან მძიმე და რთულ პერიოდში გარგუნათ ღმერთმა პრეფექტობა. დღეს ეროვნული მოძრაობა ისეთი უფსკრულის ზღურბლთან მივიდა, არავის არა აქვს შეცდომის უფლება. არადა, არისტოტელე ბრძანებდა: შეცდომას გზა ბევრი აქვს, სწორ მოქმედებას კი ერთადერთი ო. დიახ! სიძნელეების წინაშე დგახართ. გაფრთხილდით, მხოლოდ დეპუტატის სტატუსმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. ვიდრე რომელიმე თანამდებობაზე პიროვნებას დანიშნავდეთ, შეამოწმეთ თუნდაც გუშინდელი დღე მისი მუშაობისა, თუნდაც ის მოკლე პერიოდი, დეპუტატობის კანდიდატად რომ ითვლებოდა—დეპუტატობამდე...

ძალიან მწყავს გამონდის, მაგრამ... საფუძველი გულისტკივილისა ძალიან დიდია!..

ბევრი რამ არ ეკადრება ლეჩხუმს—საქართველოს ძლიერ მეცხოვნეს და ლეჩხუმელებს, მაგრამ კადრულობენ. ვაი, სირცხვილო! მოგეხსენებათ, მინები ჩაუმსხვრიეს სტუმართა მანქანებს, ვაი, სირცხვილო! ლეჩხუმშიც გვყოლია სამშობლოსა და ერის მოღალატენი. აბა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ გარეწრებს?

ახლოდება 9 აპრილი და... საფლავებში ვეღარ ჩერდებიან ჩვენი თვალხატულა გოგო-ბიჭები, საქორწინო კაბებით რომ მივაბარეთ ნაწამებ მიწას, რატომ? რისთვის? გვეკითხებიან და პასუხს გვთხოვენ. რა ვქნათ, რა პასუხი გავცეთ?!..

მათი სისხლი უქმად არ დადგრილა!.. გამოღვიძებული ეროვნული ებრძვის ურჩხულს—ოლიგარქიას. ეროვნული ენერგია ... ტისადმი ... ადება თუ გადაგვარჩენს. პარლამენტისადმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ზვიად გამსახურდია, „ყრმობა ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანში რომ გაატარა, დანარჩენი დრო კი უსამართლობასთან ბრძოლაში“..

ჩვენი ქვეყნის ბედკრულმა ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, რომ თვით მეფენიც კი, მარტო ოქროს ტახტებს და საკუთარ სიცოცხლეს კი არა, არამედ შვილების სიცოცხლესაც სწირავდნენ სამშობლოს თავისუფლებას. ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქართველი მსგავსი შესაწირისაგან. საქართველო მხოლოდ მცირედს თხოულობს ყოველ ჩვენთაგანისაგან—პატიოსნებას, ერთგულებას, თავდადებულ შრომას.

მინდა გისურვოთ ამ დახლართულ ლაბირინთებიდან გამარჯვებული გამოსვლა. მაქვს დიდი იმედი და რწმენა, გამოიყენებთ პრეფექტის განუზომელ უფლებებს და მხოლოდ პატიოსანი, ეროვნული პარლამენტის ერთგული დამიანებით შეავსებთ პრეფექტურას. ეს საქმე ძალზე რთულია და ამ ბრძოლაში ლეჩხუმს რეგიონალური ჰელსინკის კავშირი ყოველთვის იდგება თქვენს გვერდით.

ღერთი იყოს თქვენი მფარველი!

დარეჯან ჩორგოლიანი,
ჰელსინკის კავშირი.

შიში და იმედები

რა გვიჩვენა მოსახლეობის გამოკითხვამ მეუარნეობრიობისა და საკუთრების ახალი ფორმების შესახებ

ჟვეყანაში შექმნილი ახლანდელი მდგომარეობა პრაქტიკულად ხელს არავის აძლევს. ასე ცხოვრება არ შეიძლება—ეს სრულიადაც არ არის კინემატოგრაფიული წესი. ყოველ შემთხვევაში, იმ ათიათასი თანამოქალაქის თითქმის ნახევარმა, რომლებიც სპეციალისტებმა მიუკერძოებლად დაჰკითხეს, თვით იმაზე მზადყოფნაც კი გამოთქვა, რომ დროებით გადაიტანოს მატერიალური გაჭირვება, ოღონდაც შემდგომში უკეთესად იცხოვროს. გამოკითხულთა 44 პროცენტს, არანაკლებ გულუბრყვილოდ მიაჩნია, რომ ამაზე უარესად ცხოვრება უკვე შეუძლებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით კატეგორიული არიან სოფლელები: აქ ყოველ მეორეს მიაჩნია ასე.

მაგრამ ბაზარი კი ბობოქრობს. შეიძლება ადამისდროინდელი, ყველაზე უარესი ბაზარია, მაგრამ ეს—ობიექტური რეალობაა. რა უფრო მეტია მის პერსპექტივაში—იმედი თუ საფრთხე? წარმოიდგინეთ, რომ ეს უკანასკნელი: ამიტომაა, რომ მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს აშინებს ფასების მომატება და მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. ჩვენი ყოფის სოციალურ ატმოსფეროს ასეთი განწყობილება ახასიათებს: ყოველი მეოთხე დარწმუნებული არ არის ხვალინდელ დღეში, ყოველ მეხუთეს აწუხებს სოციალური დაცულობის უკმარისობა. ხოლო ყოველ მეშვიდეს ყველაზე მეტად აწუხებს საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ისეთი მოვლენები, როგორიც არის საზოგადოებრიობის სტაბილურობის არარსებობა, საზოგადოებაში მორალური, ზნეობრივი, კულტურული დონის დაქვეითება.

საერთოდ კი გამოკითხულთა უმრავლესობა, როგორც სოციოლოგები მოწმობენ, ყველა სხვა ალტერნატივას მომავალში სტაბილურობასა და რწმენას ამჯობინებს. ამიტომ 53 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა იმას, რომ დაე, ჰქონდეთ მცირე, მაგრამ მტკიცე ხელფასი და ხვალინდელი დღის რწმენა. და მხოლოდ ყოველი მეხუთე ამჯობინებს ახლანდელ კარგ ხელფასს, თუნდაც მომავალი ამის გარანტიას არ პირდებოდეს.

როგორღაა განწყობილი საქმიანი მეწარმეობა? ჯერჯერობით იმას, რომ ჰქონდეს საკუთარი საქმე, აწარმოებდეს მას შიშით და რისკით, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ყოველი მეშვიდე ესწრაფვის.

და ისიც ვთქვათ: ეკონომიკური და სოციალური ძვრები არცთუ ისე განგაწყობენ მშვიდი საქმიანი წინდახედულობით პატიოსანი და ნამუსიანი მეწარმეობისათვის. და მაინც საქმიანი პლანით საზოგადოება, თუ ვიმსჯელებთ ყოველივე ამით, არ ახასიათებს უკიდურეს გამოუვალობას. შეიძლება, ამიტომაც 65 პროცენტმა „ხმა მისცა“ ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, თითქმის ამდენივე მხარს უჭერს საიჯარო ურთიერთობათა განვითარებას, 50 პროცენტი—ფერმერობას, 45—ერთობლივ საწარმოთა შექმნას.

მართალია, ჯერ კიდევ გარკვეული სიფრთხილით ეკიდებიან კერძო პირების კუთვნილ კოოპერატივებს, საწარმოებს: მხოლოდ ოცდაათმა პროცენტმა აღიარა, რომ იწონებენ ასეთი ფორმის მეურნეობრიობას. კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე გამოთქვა მოსახლეობამ თავისუფალი ეკონომიკური ზონების და სააქციო საწარმოთა მიმართ: 24-29 პროცენტი მხარს უჭერს, 15-უარყოფს.

როგორც არ უნდა იყოს, მრომითი კოლექტივებისათვის საწარმოთა უმტკივნეულოდ გადაცემას მხარი დაუჭირა თითხმეტმა პროცენტმა, იჯარას—ცხრამ, უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას—ხუთმა, ხოლო ცალკეულ პირებზე გაყიდვას და აქციონირებას—სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა ოთხმა პროცენტმა.

კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას ავლენენ სოფლად განახლებული, მაგრამ ტრადიციული მეურნეობრიობის ფორმებისადმი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მხარს უჭერენ მუშაკთა 55 პროცენტის შენარჩუნებას, თითქმის ყოველ მეოთხე მომხრეა მიწის იჯარით გაცემისა, მეშვიდეს—სურს მიიღოს თავისი წილი და დამოუკიდებლად იმუშაოს.

ამ მხრივ ქალაქელები მიწის მიმართ გაცილებით უფრო რადიკალურად არიან განწყობილნი. ამიტომ, როდესაც მკვლევარებმა ასეთი მოსახლეობის ყოველი კატეგორიის შესახებ გასაშუალებული ციფრები გამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ თითქმის ნახევარს (47 პროცენტი) განზრახული აქვს შეიძინოს მიწა პირად საკუთრებაში. თუმცა ყოველმა მეხუთემ აღიარა, რომ ამის შესაძლებლობა არა აქვთ. საერთოდ კი უნდა განვასხვაოთ: ერთია მიიღო მიწის პატარა ნაკვეთი და გამოსასვლელი დღეები გაატარო საკუთარ კარმიდამოში და სულ სხვა—მიწაზე მოაწყო სასაქონლო მეურნეობა. აქ მიდგომა, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარია.

სხვათა შორის, ქალაქელები თავიანთ მშობლიურ სტიქიაში, ჩანს უფრო რეალისტი და წინდახედულნი არიან. ჩვენთან მოსაუბრეთა მხოლოდ ექვსმა პროცენტმა აღიარა, წინააღმდეგი რომ არ არიან შეისყიდონ პატარა მაღაზიები, კაფეები ან რესტორნები. და მხოლოდ სამი პროცენტია მზად შეუდგეს კერძო მეწარმოებას, შეიძინონ ჩვენთვის ცნობილი „სერვიზი.“

ალბათ, ეს განწყობილებები უკანასკნელ თვეებში შეიცვლება. მაგრამ ერთში კი, ეჭვი არ გვეპარება: მათ ცხოვრებას არ შემატებია ოპტიმიზმი, არ შემატებია სტაბილურობა.

ვ. პეტრუნია.

ჩენს საშეზობლოში

მიწა—მესაკუთრეს

ერევანი. სომხეთის პარლამენტმა მიიღო რესპუბლიკის მიწის კოდექსი.

დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენება, ბუნების გარემოს დაცვა, სხვადასხვა ფორმის საკუთრების საფუძველზე ყველა სახის მეურნეობრიობის თანაბარი უფლებით განვითარების პირობების შექმნა. იგი ძალაში შევიდა 15 მარტიდან. კოდექსი, კერძოდ, აღიარებს რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის უფლებას მიწაზე. მიწის საკუთრება რესპუბლიკაში ხორციელდება სომხეთის მოქალაქის, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების ფორმით. მიწის სარგებლობა ფასიანი იქნება, რომელიც დგინდება მიწის გადასახადის სახით.

მიწის მფლობელები, მიწით მოსარგებლეები და მოიჯარეები გარანტირებული არიან, რომ მათ საქმიანობაში არ ჩაერევა სახელმწიფო ან სხვა ორგანოები, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა ირღვევა კანონმდებლობა ან ხელშეკრულება. მესაკუთრეს შეუძლია თავისი ნაკვეთი გაიჩუქოს ან გასცეს შემკვიდრეობით. ამავე დროს შემოღებული იქნება სახელმწიფო კონტროლი მიწის გამოყენებასა და დაცვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით

სიკვდილითა სიკვდილისა

დამთრგუნველი და საფლავების

შინათა ცხოვრების მომნიჭებელი

7 აპრილს (ძველი სტილით 25 მარტს) მთელი ქრისტიანული სამყარო დიდი ზეიმით ეგებება ყოვლადწმინდა მაცხოვრის იესო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს. წელს ამ დღესასწაულს დაემთხვა ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

7 აპრილს საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში შემოჰკრავს ზარი, გალობით ადიდებენ მაცხოვარს და საკმევლის სურნელი ღვთიურ სამყაროს აზიარებს სალოცავად მისულ მრევლს, რომ ცოტა ხნით მაინც დაავიწყოს ამ ქვეყნის დარდი და ურვა, დროებით მაინც გადაიყვანს იმ სამყაროში, სადაც შურს, მტრობას არა აქვს ადგილი და მხოლოდ სათნოება სუფევს.

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში სააღდომო სამზადისია. ეკლესიაში იატაკი უკვე დააგეს, მერე კანკელი გააკეთეს. მოქმედი ორი კარიდან ორივე გახსნეს. ახალთახალ, ქართული ჯვრის ორნამენტებიან კარს მაშინ ჰკიდებდნენ, როცა ვესტუმრეთ. საქრისტიანოს დიდი დღესასწაულისათვის ალბათ აქ უკვე ყველაფერი მზად იქნება, რათა წირვა-ლოცვით ადიდონ მაცხოვარი და სანთელი აუნთონ მას.

ეკლესიის მღვდელმა უჩა ასათიანმა გვითხრა, რომ სააღდგომოდ მრევლს გაახლებულ ეკლესიაში დალოცავს, მართალია, კიდევ ბევრი რამ დარჩება საკეთებელი, მაგრამ ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრდება. თან ისიც დაუმატა, ამ ორი დღესასწაულის დამთხვევამ (აღდგომა და ხარება) ხალხში გაუგებრობა გამოიწვია, ამტკიცებენ, თითქოს წელს აღდგომა არ ახსნილებს. მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ რასაც არ უნდა დაემთხვეს აღდგომის დღესასწაული, ეს დღე ყოველთვის ხსნილია. ჩვეულებრივად იკვლება საკლავი და იღებება სააღდგომო კვერცხები.

ეკლესიის შესასვლელში კაცი მუხლებზე დაჩოქილიყო და გადაჩიჩქნილ მიწაში მონდომებით აგროვებდა რაღაცას. ვნახე, უკვე საკმაოდ ჩაყანგული და გაშავებული ხურდა ფული ამოჩნდა, ესაო, შვილო, ამიხსნა, იმდროინდელი შეწირულობანია, ეკლესია რომ გაუქმებული იყო, მაინც მოდიოდნენ მორწმუნეები, სანთელს ანთებდნენ ეკლესიის კართან და ფულს სწირავდნენ; ახლა აღარავინ გვიშლის ლოცვას და სანთლის დანთებას.

ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიაკი სააღდგომოდ მრევლს ელოდება, ჩვენც ვივიდეთ და „უფლისა ჩვენის მიმართ ვილოცოთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.

მადონა მახაროგლიძე.

საქართველოს რესპუბლიკა. პაპაის კარგი მოსავალი მიიღეს ოჩამჩირის რაიონის კინდღის სასათბურე კომბინატის საწარმოო-სავაჭრო შემსყიდველ კოოპერატივ „დემონში“. ამ ეგზოტიკური ხილის წვენს იყენებენ 100-ზე მეტი დასახელების წამლის დასამზადებლად.

სურათზე: კოოპერატივის თავმჯდომარე ლიუდმილა ტარბა პაპაის ნაყოფით ხელში.

გ. სოკოლოვის ფოტო.

(საქართველო—საკდესი)

სპეციალისტის რჩევები

მავნე ტკიპები და ვაზის ინტეგრირებული დაცვა

გაზაფხულის დადგომისთანავე ვაზის კულტურას დიდ ზიანს აყენებს ტკიპები. დღეისათვის დასავლეთ საქართველოში ვაზისათვის განსაკუთრებული მავნეობით გამოირჩევა ვაზის აბლაბუდიანი, კვირტის, მეგალე, ფილოკოპტესი და ნარინჯისფერი ტკიპები.

ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა ვაზს მთელი ვეგეტაციის პერიოდში აზიანებს. ადრე გაზაფხულზე გამოზამთრებული ტკიპები თავს იყრიან ვაზის ნორჩ ყლორტებსა და ფოთლებზე. განსაკუთრებით საშიშროება ექნება ვეგეტაციის დაწყების დროს ტემპერატურის დაცემისას, ამ დროს ყლორტი ზრდას აჩერებს, ტკიპებისათვის საკვები ფართობი ძალზე მცირეა, ყლორტი და ფოთოლაკი ხმება, ყურძნის მოსავალი კი ჩანასახშივე იღუპება.

აბლაბუდიანი ტკიპა ფოთლის ქვედა მხარეზე ვითარდება. იგი ფოთლიდან იკვებება უჯრედების პლაზმით და ქლოროფილის ნარცვლებით. დაზიანებულ ფოთოლს ძარღვების გასწვრივ ადვილად ემჩნევა ფერის შეცვლა, უჩნდება მოწითალო-მოყვითალო **ფერის ლაქები.** აბლაბუდიანი ტკიპით დაზიანებული ვაზი თანდათან კნინდება, რქები ვერ ასწრებენ მომწიფებას, მცირდება ყინვაგამძლეობა, აგრეთვე ყურძნის მოსავალი და შაქრიანობა.

კვირტის ტკიპა—ახასიათებს კერობრივი გავრცელება. უკანასკნელ დრომდე ვაზზე კვირტების გაცდენის ერთ-ერთ მიზეზად წაყინვებს ასახელებდნენ. კვირტების გაცდენის ერთ-ერთი მიზეზი კვირტის ტკიპისაგან გამოწვეული დაზიანებაა, დაზიანებული კვირტიდან განვითარებულ ყლორტს უვითარდება მოკლე მუხლთაშორისები და ფოთლებიც უწვრილდება, ხშირად გაცდენილი კვირტიდან უნოსავლო სუსტი ყლორტი ვითარდება.

კვირტის ტკიპა მთელ თავის სასიცოცხლო ციკლს ატარებს კვირტებში, წელიწადში 8—9 თაობას იძლევა.

მეგალე ტკიპას კვების შედეგად ფოთლის ქვედა მხარეზე წარმოიქმნება მოთეთრო ქეჩისებრი ფიფქი, ხოლო ფოთლის ზედა მხარეზე ამობურცული გალი. სუსტი დაზიანების დროს გალები ფოთლებზე ძარღვებს შორის ნაწილდება, ძლიერი დაზიანებისას კი მოიცავს მთელ ფოთოლს, ქეჩით იფარება ჟუნწი და ნორჩი ყლორტები. ძლიერი დაზიანებისას ფოთოლი ჭკნება და ხმება, ყლორტები არანორმალურად ვითარდება, რქა მოუმწიფებელი რჩება.

აბლაბუდიანი ტკიპისაგან განსხვავებით ვაზის მეგალე ტკიპას მიერ გამოწვეული ეკონომიური ზარალი იმავე წელს არ ვლინდება, ვაზი დასუსტებას იწყებს მესამე-მეოთხე წელს, რაც გამოხატულებას პოულობს მოსავლიანობაშიც. წელიწადში იძლევა 6—7 თაობას.

ნარინჯისფერი ტკიპა აზიანებს ფოთოლს და სხვა ტკიპებისაგან განსხვავებით იკვებება ყლორტის, ყვავილებისა და ყურძნის მტევნის ნაწილებით. ნარინჯისფერი ტკიპის გამონაყოფზე სახლდება სიშავის გამომწვევი სოკო, ამიტომ ნარინჯისფერი ტკიპით დასახლებული ვაზის ყველა ორგანო, მათ შორის მტევნები შავდება. წელიწადში იძლევა 4 თაობას.

ვაზის ფილოკოპტესის მიერ წუწვნის შედეგად ფოთლის ეპიდერმისი უფერულდება, ფოთლებზე ჩნდება პატარა ზომის ლაქები ცენტრში, ნეკროზული ნაჩხვლეტით, ძლიერი დაზიანებისას გაუფერულებული, ნაწუწნი ადგილები ერთმანეთს ერწყმის და იხლიჩება, რის შედეგადაც ფოთოლზე ჩნდება სიგრძივი ღარები. ფოთლებში მცირდება ასიმილაციის პროცესი, ვაზი სუსტდება, ყლორტი ბუჩქდება, მუხლთაშორისები მოკლდება. იძლევა 5 თაობას.

ტკიპების წინააღმდეგ საჭიროა ჩავატაროთ როგორც აგროტექნიკური, ისე ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა.

აგროტექნიკური ღონისძიებანი: ადრე გაზაფხულზე კვირტების დაბერვამდე ვაზის შტამბი და სხვა ხნიერი ნაწილები უნდა გასუფთავდეს ამსკდარი ქერქისაგან და გამხმარი ნაწილებისაგან. ანასხლავი მასალა უნდა დაიწვას. ვაზის მეგალე და კვირტების ტკიპების გავრცელების დროს—სხვლის ჩატარებისას უპირატესობა უნდა მიექცეს გრძელ სხვლას, შტამბის ძირიდან ვაზს უნდა შეეცალოს ამონაყარი ყლორტები და გატანილი უნდა იქნეს ნაკვეთიდან.

ქიმიური მეთოდი ვაზის მავნე ტკიპების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტკიპების რიცხობრიობა სჭარბობს მავნეობის ეკონომიკურ ზღვარს. საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების მიერ დადგენილია ტკიპების ეკონომიკური ზღვარი, მისი კრიტიკული რიცხობრიობა. ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების დროს სპეციალისტების მიერ უნდა დათვალიერდეს ვენახები და მხოლოდ ის ნაკვეთები შეისწავლოს, რომელშიც ტკიპების კრიტიკული რიცხობრიობა 7 ტკიპას უდრის საშუალოდ ერთ ფოთოლზე.

ტკიპების წინააღმდეგ ქიმიური მეთოდით ბრძოლა ყოველთვის უნდა იყოს მოსპობითი და არა პროფილაქტიკური, რომელსაც ხშირად ატარებენ კოლმეურნეობაში მავნებლის არარსებობის ან მცირე რიცხობრივ დონეზე ერთგვარი „წინასწარი“ დაზღვევის მიზნით.

ქიმიური საშუალებებიდან რეკომენდებულია ერთი რომელიმე პრეპარატი: კელტანი, ომაიტი, ბი-58, ფოზალონი, იზოფენი, აკრექსი, ანთიო 0,2 %-იანი კონცენტრაციით (100 ლიტრ წყალზე 200 გრამი პრეპარატი).

პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს ყლორტზე 3-5 ფოთლის გამოჩენისთანავე, **მეორე წამლობა**—ყვავილობის დაწყებამდე, ხოლო **მესამე წამლობა**—დაყვავილებისთანავე. აღნიშნული მესამე წამლობა გამიზნულია კვირტის და მეგალე ტკიპებისათვის, რადგან ამ პერიოდში ხდება მათი მიგრაცია, ინტენსიური გამრავლება და რიცხობრივი ზრდა.

ბიოლოგიური მეთოდი საქართველოს პირობებში ტკიპების წინააღმდეგ გამოიყენება პირველად, რადგან პესტიციდების მასობრივმა გამოყენებამ საგრძნობლად შეამცირა ბუნებაში არსებული მტაცებელი ტკიპების სასარგებლო მოქმედება—1978 წელს რესპუბლიკის ვენახებში შემოყვანილი იქნა აკარიფაგი—მეტასელიუსი, რომელმაც რეზისენტობა (გამძლეობა) გამოამჟღავნა ფოსფორორგანული ჯგუფის პრეპარატების მიმართ. ვენახში გაშვების ნორმა ჰექტარზე 5500-12800 ფარგლებში მერყეობს. მისი გაშვება შეიძლება მთელი ვეგეტაციის მანძილზე. აკარიფაგის ეფექტურობა თვალსაჩინოა გაშვებიდან 10–15 დღის შემდეგ. მეტასელიუსს მალე მიეცემა მწვანე გზა ტკიპების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში იგი ხელს შეუწყობს პესტიციდების გამოყენების შეზღუდვას, რითაც ნაკლებად დანაგვიანდება გარემო.

ნანული შალამბერიძე,

საქარის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სიტყვა — საქმიანი უდარდელობის შედეგი

ქალაქის ცენტრის ქუჩებისა და წარმოება-დაწესებულებების ეზოების მოვლა-პატრონობაზე, სანიტარული წესრიგის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევებზე ხშირად იწერება რაიონულ გაზეთში, მაგრამ ბევრგან არაფრად დაგიდევენ გაზეთის კრიტიკას. ამის ნათელი დადასტურებაა შემნახველი ბანკისა და სახალხო სასამართლოს ხელმძღვანელთა და ამ დაწესებულებებში მომუშავეთა უმოქმედობა. ისინი გასულ წელს გაზეთში გაკრიტიკებული იყვნენ ეზოში არსებული სიბინძურისათვის, რასაც ქმნიდნენ მოხეტიალე ღორები, მიუხედავად იმისა, რომ ეზო შემოკავებულია ძირითადში, ზოგ ადგილზე სჭირდება შეკეთება. წელს კიდევ მეტი უმსგავსობაა. თითქმის მთლიანად გადათხრილია და დაორმოებულია მთელი ეზო ღორებისგან.

სამარცხვინოა, რომ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელთა და მუშაკთა თვალწინ მთელი დღის განმავლობაში ღორები თხრიან აწყვანებულ ეზოს, ნარგავებს თითქმის ძირები გამოთხრილი აქვს. არცერთ მუშაკს აზრად არ მოსვლია შეაკეთოს ღობე, მოასწორონ ღორების „ნამუშევარი“. ეს მათ უდარდელობაზე მიგვანიშნებს.

აღნიშნული, ვფიქრობთ, ყველას დააფიქრებს და სხვაგან აღარ განმეორდება ასეთი უმსგავსობანი.

განცხადება

ცაგერის სამუსიკო სკოლა და ამავე ლაჯანის ფილიალი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის ფორტეპიანოს და ვიოლინოს პირველ კლასში. სკოლაში მიიღებენ 5 7-8 წლის ასაკის ბავშვები. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა მშობლების საქმიანობის შესახებ, ცნობა სკოლიდან, დაბადების მოწმობის ასლი, ორი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 5 აპრილიდან 20 მაისამდე.

კონსულტაციები ჩატარდება 24, 25 მაისს. მისაღები გამოცდები ჩატარდება 27 მაისს.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეეძლიათ შემდეგი მისამართით: ცაგერი, სამუსიკო სკოლა, რუსთაველის ქ. №39.

ცაგერის სამუსიკო სკოლის დირექცია.

მგზავრთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის აპრილის დადგენილების საფუძველზე მსუბუქ ტაქსმოტორებში მგზავრის საწყისი ფასი ნაცვლად 20 კაპიკისა გახდა 40 კაპიკი ერთ კილომეტრი გარბენის ფასი ნაცვლად 20 კაპიკისა— 40 კაპიკი. ერთი საათით დგომის ფასი შეადგენს 4 მანეთს.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაცია.

მანანა ლუდვიკის ასულ ხეცურიანს
გადრი გერონტის ძე ქომეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

შურა, დოდო, ნინიკო, გერონტი, ჟორიკო, ზურიკო, გურიკო სილაგაძეები.

მანანა ლუდვიკის ასულ ხეცურიანს
გადრი გერონტის ძე ქომეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს გისურვებთ. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. გფარავდეთ ღმერთი.

ნელი ლეთოდიანი ოჯახით.

სოფო გრიგოლის ასულ საღინაძეს
კახა ანზორის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ყველაზე ბედნიერ დღეს თქვენს ცხოვრებაში—ქორწინებას. ულევი სიხარული, სიყვარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

სოგრატ კოპალიანი ოჯახით.

მანანა ჰილვარიას
ნუგზარ ჰაბუკიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დაე, ბედნიერი, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

სოფელ დეხვირის ახალგაზრდობა.

მაია ახვლედიანს
კონსტანტინე კუჭავას

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და სიუხვე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ციური, ჯემალ, თემურ, თამაზ ცვარიანები.

მანანა ლუდვიკის ასულ ხეცურიანს
გადრი გერონტის ძე ქომეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას, ჯანმრთელობა, სიხარული და შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

დომნა, მარინე ხეცურიანები, რუბენ, რეზო ნემსწვერიძეები ოჯახებით.

ნუნუ ვაწაძეს
გოგი ახვლედიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

№ 23 საგზაო სამმართველოს კოლექტივი.

ნარგიზა, ავთო ჰაბუკიანებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

სოფელ დეხვირის ახალგაზრდობა.

ლია, კარლო მეშვეიდიანებს

გილოცავთ შვილიშვილების ტყუპი ქალ-ვაჟის შეძენას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახისათვის ახალი წევრების შემატება.

ცაგერის სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები.

ქეთინო, გოჩა მურცხვალაძეებს
ვენერა, ჯანუბი ხვადაგიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ცაგერის სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები.

მადონა, თამაზ უურაშვილებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი, კიდევ მრავალი შეგძინოთ ღმერთმა.

ოთიკო დათოს ძე ქომეთიანის ოჯახი.

ნანული მეთოდეს ასულ მახარობლიძეს

გილოცავთ ძმის, რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევას. ვუსურვებთ კვლავაც წარმატებები ჰქონოდეს.

აზირა, ბელა, როლანდ, ავთო მურცხვალაძეები.

შვილი ქორა, ლამზირა, დალი, რძალი ციალა, სიძე შალვა კვირკაშვილი, მახლობელადმყოფი, შვილი ცუცა, შვილიშვილები ბერაბი, ცირა, ლაშა, ალუდა, ელისო, მარინე, მადონა, შვილთაშვილები ირაკლი, ირმა, დისშვილები, ძმისშვილები, ახლონათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევნასი გერასიმეს ასული ღოღელიანი-ჭაბუკიანი.

დაკრძალვა 6 აპრილს, შაბათს, სოფ. ლასურიაში.

რომეო მანდარია, მათიკო, ანზორ გუგავები ოჯახებით იუწყებიან

მეთოდე მურცხვალაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სტატისტიკის რაიგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ შოთა გოგიძეს დედის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

საისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ჭაბუკიანს მამიდის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

ნოდარ, თენგიზ მდივნები, ილარიონ გელოვანი, ჯანიკო კვირკაშვილი, სოსო ჩარკვიანი თანაუგრძნობენ მერი და ზურაბ მდივნებს დედის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ქუჯუნა, შვილები მზია, აზა, დალი, სიძეები შახმან თოთაძე, ჟორა ბენდელიანი, შვილიშვილები ნიკა, მამუკა, ეკა, გია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მეთოდე ლუკას ძე მურცხვალაძე.

დაკრძალვა 6 აპრილს, შაბათს 17 საათზე ქ. ცაგერში.

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ

დალი და ჟორა ბენდელიანებს მამისა და სიმამრის

მეთოდე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მანანა და სოსო თვარაძეებს ბიძის

ბუჭუ თვარაძის

გარდაცვალების გამო.

კარლო ცვარიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეფროსინე ივანეს ასული ჭაბუკიანი-გოგიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ მერი გოგიძეს და გოგი ჭაბუკიანს დედისა და მამიდის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ, მაია, ჟორა დალბიანები ოჯახებით იუწყებიან

გალაქტიონ ერემნან-ძე თვარაძის

გარდაცვალებას.

ვილგემ, ბიტუ მეშველიანები, ანზორ, ჯუმბერ საღინაძეები, დათო გიორბელიძე, დათო მუშკუდიანი, ზაალ სვანიძე, გურამ კოპალიანი, ჟორა ახვლედიანი, გივი ასათიანი, მურთაზ მურცხვალაძე, დათო მიქაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მეთოდე მურცხვალაძე.

უახლოესი მეზობლები პოლიაქტოზ ჩხეტიანი, მარგო ბენდელიანი, დავით კოპალიანი, ზურაბ ჭიღვარია, თამაზ ფუტკარაძე, შოთა ბერიძე, ჟორა, გივი ღლონოდიანები, თენგიზ ახვლედიანი, ამირან გოგიძე, ფაქიზო გოგიძე, გია გასვიანი თანაუგრძნობენ შოთა გოგიძეს დედის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კომეურნეობის აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ შოთა გოგიძეს დედის

ეფროსინე გოგიძის

გარდაცვალების გამო.

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეფროსინე გოგიძე.

ძმა ვასილ ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ეფროსინე ჭაბუკიანი-გოგიძე

გოგუცა, შოთა, მატილდა, ალექსანდრე (ალეკო) მურცხვალაძეები, ნანა რესნა, ზაურ ცინცაძე იუწყებიან დედისა და ბებიის

ეფროსინე ივანეს ასული გოგიძის

გარდაცვალებას.

ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევნასი ღოღელიანი-ჭაბუკიანი.

ლუდვიკ, დადაში, ზაურ ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეფროსინე გოგიძე.

სოზარ, ალბერტ ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მეთოდე ლუკას ძე მურცხვალაძე.

ავთანდილ, ივდითი საღინაძეები, ჟინვერ კვირკაშვილი თანაუგრძნობენ ლამზირა და შალვა კვირკაშვილებს დედისა და სიდედრის

ევნასი ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

ფაცო კვირკაშვილი, ბაბუცა, გენურ, სოსო ქარსელაძეები თანაუგრძნობენ ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს დედისა და სიდედრის

ევნასი ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

გულადი, იური, ტარზან ხეცურიანები თანაუგრძნობენ დალი და ჟორა ბენდელიანებს მამისა და სიმამრის

მეთოდე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
* სამშაბათს
* ხუთშაბათს
* შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების — 22-41, სტამბის დირექტორის— 22-17, საამწყობო საამქროს —22-23

ტირაჟი № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნოდარ
ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა